

პრესრელიზი

ძვ. წელთაღრიცხვის მინიატურული ქანდაკებები: "დავით ბეჟუაშვილის განათლების ფონდის" საჩუქარი ხელოვნების სასახლეს

„დავით ბეჟუაშვილის განათლების ფონდის“ და ხელოვნების სასახლის ერთობლივი პროექტის ფარგლებში: უნიკალური არქეოლოგიური ნივთები საქართველოდან გატანას გადარჩა.

არქეოლოგიური ნიმუშები, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის 7-6 საუკუნით თარიღდება დღეს უკვე საქართველოს ხელოვნების სასახლის არქეოლოგიური საგანძურის ნაწილია. ექსპონატებს: ნაყოფიერების ღმერთი და ჯიხვი უკვე ჩაუტარდა პირველადი საკონსერვაციო სამუშაოები, გაიწმინდა მრავალსაუკუნოვანი მტკრისა და ნადებისაგან. სულ მალე ახლად შექმნილი ნიმუშები მუდმივ ექსპოზიციამშიც დაიმკვიდრებს ადგილს.

ნაყოფიერების ღმერთისა და ჯიხვის ფიგურებს, საქართველოს წამყვანმა არქეოლოგებმა, უნიკალური უწოდეს, რომელსაც მათივე შეფასებით სავარაუდოდ ანალოგი არ მოეპოვება.

რარიტეტული ექსპონატები პროექტ „ეროვნული სალაროს“ მორიგი შენაძენია, რომელიც „დავით ბეჟუაშვილის განათლების ფონდმა“ კერძო კოლექციონერისგან შეისყიდა.

